ჭაობები – მწვანე საუნჯე
და
ბუნების ჩუმი მცველები

მოამზადა მაია ბლიაძემ

რა არის ჭარბტენიანი ტერიტორია (ჭაობი)?

გარდამავალი ეკოსისტემა

ხმელეთსა და წყალს შორის არსებული, წყლით მუდმივად ან პერიოდულად გაჯერებული, უნიკალური ტერიტორიები.

მრავალფეროვანი ტიპები

დაჭაობებული ტერიტორიები - ჭაობი, მარში, ჭანჭრობი, ტბისა და მდინარის დატბორილი ნაპირები, ესტუარი.

ბიოლოგიური მნიშვნელობა

ჰაბიტატი პლანეტაზე არსებული ყველა ცხოველისა და მცენარის სახეობათა 40%-თვის.

ჭარბტენიანი ტერიტორიების გლობალური განაწილება

ჭარბტენიან ტერიტორიებს
უკავია
დედამიწის ზედაპირის

6%

რამსარის კონვენცია

მსოფლიოში 1888-ზე მეტი სპეციალურად დაცული ადგილია, რომელთა საერთო ფართობი 185 მლნ ჰექტარს შეადგენს

ინახავს პლანეტაზე არსებული მტკნარი წყლის

30%-ს

ჭარბტენიანი ტერიტორიების ძირითადი სახეები

მდინარის ჭალები

ჭალის ტყეები - მაგალითად, მდინარე დუნაის დელტაში

მარშები

ზღვის სანაპიროს ზედა ზოლი, რომელიც წყლით იფარება ყველაზე მაღალი მოქცევების დროს.

მანგროს ტყეები

ტროპიკული ზონების სანაპირო ლაგუნები

ტბების სისტემები

ტბებისა და წყალსაცავების დაჭაობებული ნაპირები



როგორი ჭაობები არსებობს?

ზედაური

ქვედაური

გარდამავალი

ჭარბტენიანი ტერიტორიების ეკოლოგიური ფუნქციები

წყლის ბალანსის რეგულირება

წყალდიდობებისგან დაცვა და ჰიდროლოგიური რეჟიმის შენარჩუნება

წყლის გასუფთავება

წყლის რესურსების ხარისხის შენარჩუნება ბუნებრივი ფილტრაციის გზით

ნახშირბადის შენახვა

კლიმატის ცვლილების შერბილება **CO_2**-ის შთანთქმის გზით

საარსებო გარემო

იშვიათი, გადაშენების პირას მყოფი და დაცული სახეობებისთვის პირობების უზრუნველყოფა



საფრთხეები და გამოწვევები კონსერვაციისთვის

მიწების დაშრობა

ტრანსფორმაცია სოფლის მეურნეობისა და ურბანიზაციის ინტერესებში

დაბინძურება

ჰიდროლოგიური რეჟიმის ცვლილება კაშხლებისა და არხების გავლით

კლიმატური ცვლილებები

ტემპერატურის მატება და ექსტრემალური ნალექები

რესურსების ჭარბად გამოყენება

ბუნებრივი სიმდიდრეების გადაჭარბებული ექსპლუატაცია

საერთაშორისო ძალისხმევა დასაცავად

რამსარის კონვენცია

1 **1971 წელი**

კონვენციის მომზადება

2 **159 სახელმწიფო**

კონვენციაზე ხელისმომწერები

3 **მიზანი**

ჭარბტენიანი ტერიტორიების მდგრადი მართვა და შენარჩუნება

საერთაშორისო მნიშვნელობის, სპეციალურად დაცული ჭარბტენიანი ტერიტორიების სია გლობალური კონსერვაციის მთავარი ინსტრუმენტია

1971 წლის 2 თებერვალს ქ. რამსარში (ირანი) 18-მა ქვეყანამ ხელი მოაწერა კონვენციას „საერთაშორისო მნიშვნელობის წყალჭარბი, განსაკუთრებით წყლის ფრინველთა საბინადროდ ვარგისი ტერიტორიების“ (The Convention on Wetlands of International Importance, especially asWaterfowl Habitat) შესახებ.

კონვენცია მთავრობათაშორისი შეთანხმებაა, რომელიც მიზნად ისახავს წყალჭარბი ტერიტორიების დაცვას და მათ მდგრად გამოყენებას. ამისათვის კონვენცია უზრუნველყოფს საერთაშორისო თანამშრომლობას.

კონვენცია პირველი გლობალური საერთაშორისო ხელშეკრულებაა, რომელიც მთლიანად ეძღვნება ერთი ტიპის ეკოსისტემას.

აღსანიშნავია, რომ გადამფრენი ფრინველები, რამსარის კონვენციის გარდა, ბონის კონვენციითაც არიან დაცულები და ამ ორივე კონვენციის წევრია საქართველო.

2 თებერვალს აღინიშნება ჭარბტენიანი ტერიტორიების საერთაშორისო დღე.

წარმატებული კონსერვაციული პროექტების მაგალითები

LIFE- ევროკავშირის პროგრამები

ევროპაში ჭაობების აღდგენა ინოვაციური მეთოდების გამოყენებით

ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობა

რამდენიმე სახელმწიფოს მიერ მდინარე დუნაის დელტის ერთობლივი დაცვა

საგანმანათლებლო კამპანიები

საგანმანათლებლო მუშაობა ადგილობრივ თემებთან

ჭარბტენიანი ტერიტორიები შავი ზღვის აუზში

შავი ზღვის აუზში უამრავი ჭარბტენიანი ტერიტორია არსებობს. აქედან 30-ზე მეტი იდენტიფიცირდა რამსარის საიტის სახით. ამ ჭაობებს, რომლებიც უმეტესად ფორმირდება იმ ადგილებში, სადაც მდინარეები და ნაკადულები ზღვას უერთდება, მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს შავი ზღვის ბიომრავალფეროვნებაში.

შავი ზღვის აუზის მნიშვნელოვან ჭარბტენიან ტერიტორიებს წარმოადგენს, მაგალითად, შემდეგი ადგილები:
პომორიეს ჭარბტენიანი ტერიტორიის კომპლექსი - ბულგარეთი;
დუნაის ბიოსფერული ნაკრძალი - უკრაინა;
ევროსის დელტა - საბერძნეთი;
მდ. ევროსის აუზი - თურქეთი;
კოლხეთის ცენტრალური დაბლობი - საქართველო.

საქართველო რამსარის კონვენციას 1996 წელს შეუერთდა. ამჟამად 1366-მდე წყალჭარბი ტერიტორია გამოცხადებულია რამსარის ტერიტორიად, ე. წ. რამსარის საიტად, რომლის საერთო ფართობი 119,6 მლნ ჰექტარს აღემატება.

ჩვენს ქვეყანაში გამოიყო ტერიტორიები, რომლებმაც საერთაშორისო მნიშვნელობის ჭაობის სტატუსი მიიღო:
კოლხეთის დაბლობი: შავი ზღვის სანაპიროს ცენტრალურ ნაწილი, მდინარე რიონის შესართავი, ხობისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტისა და ქალაქ ფოთის ტერიტორია; მოიცავს ჭურიის, ნაბადას და ფიჩორა-პალიასტომის უბნებს და პალიასტომის ტბას.
ქობულეთის დაბლობი: ჭაობი ისპანი II, მდებარეობს აჭარაში.

რატომ არის ჭარბტენიანი ტერიტორიები (ჭაობები) მნიშვნელოვანი ყველა ჩვენგანისთვის?

ბიომრავალფეროვნების გარანტი

მდგრადი მომავალი

პლანეტის „ფილტვები“

წყლის ბუნებრივი ფილტრები

ჩვენი პასუხისმგებლობა

გააზრებული დამოკიდებულება